

თავი II

2015 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან 2.7 პროცენტი შეადგინა. აქედან, 2015 წლის I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 3.2 პროცენტი, II კვარტალში 2.5 პროცენტი, ხოლო III კვარტალში 2.5 პროცენტი შეადგინა.

2015 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (15.7%), საფინანსო საქმიანობა (9.7%), სასტუმროები და რესტორნები (7.9%), ტრანსპორტი (6.8%).

ფასები

2015 წლის სექტემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 4.4 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის სექტემბერში 2014 წლის სექტემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 5.2 პროცენტით გაიზარდა. 2014 წლის შესაბამის პერიოდში ინფლაციის მაჩვენებელი 4.8 პროცენტი იყო.

12 თვიან ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის სამმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სამომხმარებლო ფასები ალკოჰოლური სასმელებმა და თამბაქომ 13.4 პროცენტით, ჯანდაცვამ 9.8 პროცენტით, ხოლო სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა 4.2 პროცენტით გაზარდა.

გაცვლითი კურსი

2015 წლის იანვარ-სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა. 2015 წლის სექტემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 27.2 პროცენტით გაუფასურდა და 2.399 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან, გაუფასურდა 6.8 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2015 წლის სექტემბერში 2014 წლის სექტემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 24.8 პროცენტით გაიზარდა და 13 124.2 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 4.8 პროცენტით და 5 742.8 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2015 წლის სექტემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით მთლიანი დეპოზიტები 20.1 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 6.1 პროცენტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 39.8 პროცენტით გაიზარდა.

2015 წლის სექტემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 9.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 66.5 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 6.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა სესხებით დოლარიზაციის კოეფიციენტი და 63.9 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2015 წლის იანვარ-სექტემბერში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13 პროცენტით შემცირდა და 7 309 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 1 645 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 5 664 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად, 24 პროცენტით და 9 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საქონელბრუნვის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი მთლიანი საქონელბრუნვის 15.2 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი 8.1, ჩინეთი 7.3, რუსეთი 7.3, უკრაინა 5.1 პროცენტული წილებით და ა.შ.

ექსპორტში 12.1 პროცენტით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე ბულგარეთი 10.1 პროცენტით, მესამეზე თურქეთი 8.9 პროცენტით, მეოთხეზე სომხეთი 8.7 პროცენტით და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 17.0 პროცენტით, შემდეგ მოდიან ჩინეთი 7.9 პროცენტი, რუსეთი 7.4 პროცენტი, აზერბაიჯანი 6.9 პროცენტი და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 11.3 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 9.7 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 8.6 პროცენტი, თხილი და სხვა კაკალი 6.9 პროცენტი, სამკურნალო საშუალებები 5.9 პროცენტი და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე სამკურნალო საშუალებებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.5 პროცენტთან წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობი და ნავთობპროდუქტები 8.9 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 6.2 პროცენტი, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადებია 5.1 პროცენტი და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 367 115,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 580 183,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,3%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 772 599,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 910 195,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,4%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 173 447,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 197 416,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 113,8%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 421 068,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 472 572,2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 112,2%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 260 578,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (204 123,8 ათასი ლარი) 127,7%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 49 047,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51 194,1 ათასი ლარი) 95,8%-ია.

**2015 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	6,367,115.1	6,580,183.6	213,068.6	103.3
გადასახადები	5,772,599.1	5,910,195.3	137,596.2	102.4
საშემოსავლო გადასახადი	1,516,159.0	1,590,783.4	74,624.4	104.9
მოგების გადასახადი	813,944.0	858,670.0	44,726.0	105.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,550,646.3	2,583,049.9	32,403.6	101.3
აქციზი	643,684.5	625,472.1	-18,212.4	97.2
იმპორტის გადასახადი	51,346.6	51,383.8	37.2	100.1
ქონების გადასახადი	179,052.7	183,298.9	4,246.2	102.4
სხვა გადასახადი	17,766.0	17,537.0	-229.0	98.7
გრანტები	173,447.8	197,416.2	23,968.4	113.8
სხვა შემოსავლები	421,068.2	472,572.2	51,504.0	112.2

**ინფორმაცია საქართველოს 2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო
ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ**

2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 847 103,1 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 025 525,0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103,1%.

**2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების
შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ათასი ლარი	
			+/-	%
შემოსავლები	5,847,103.1	6,025,525.0	178,421.9	103.1
გადასახადები	5,484,595.2	5,602,569.7	117,974.5	102.2
გრანტები	159,377.8	196,818.6	37,440.8	123.5
სხვა შემოსავლები	203,130.1	226,136.7	23,006.6	111.3

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 5 484 595,2 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 5 602 569,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102,2%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 466 540,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 407 207,8 ათასი ლარი) 104,2%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 858 670,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (813 944,0 ათასი ლარი) 105,5%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2 583 049,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 550 646,3 ათასი ლარი) 101,3%-ია.

- აქციზის სახით მობილიზებულია 625 472,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (643 684,5 ათასი ლარი) 97,2%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 51 383,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (51 346,6 ათასი ლარი) 100,1%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 17 453,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 766,0 ათასი ლარი) 98,2%-ია.

2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	ათასი ლარი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	5,484,595.2	5,602,569.7	117,974.5	102.2
საშემოსავლო გადასახადი	1,407,207.8	1,466,540.2	59,332.4	104.2
მოგების გადასახადი	813,944.0	858,670.0	44,726.0	105.5
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,550,646.3	2,583,049.9	32,403.6	101.3
აქციზი	643,684.5	625,472.1	-18,212.4	97.2
იმპორტის გადასახადი	51,346.6	51,383.8	37.2	100.1
სხვა გადასახადი	17,766.0	17,453.6	-312.4	98.2

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 159 377,8 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 196 818,6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 123,5%.

დასახელება	ათასი ლარი
იანვარი - სექტემბერი	
გრანტები	196,818.6
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	87,040.6
საინვესტიციო გრანტები	71,557.6
SDC	10.9
GEF	4.0
EC	7,689.9
SIDA	390.1
CNF	653.4
IFAD	45.9
KfW	12,517.2
MCC	19,204.3
USAID	31,041.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	38,220.4

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 203 130,1 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 226 136,7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 111,3%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 56 972,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (46 883,0 ათასი ლარი) 121,5%-ია. აქედან,

- პროცენტები - 39 800,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (35 517,0 ათასი ლარი) 112,1%-ს შეადგენს.
- დივიდენდების სახით მობილიზებულია 214,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (152,0 ათასი ლარი) 141,1%-ს შეადგენს.
- რენტის სახით მობილიზებულია 16 957,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 214,0 ათასი ლარი) 151,2%-ია.
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 43,016.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41,434.1 ათასი ლარი) 103,8%-ია. აქედან,
 - ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით - 39 155,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (39 403,1 ათასი ლარი) 99,4%-ია. მათ შორის:
 - სალიცენზიო მოსაკრებელი - 465,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (750,0 ათასი ლარი) 62,0%-ია;
 - სანებართვო მოსაკრებელი - 23 277,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (23 400,0 ათასი ლარი) 95,4%-ია.
 - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 138,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (950,0 ათასი ლარი) 119,8%-ია;
 - სახელმწიფო ბაჟი - 11 468,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10 718,0 ათასი ლარი) 107,0%-ია;
 - საკონსულო მოსაკრებელი - 1 836,8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 578,7 ათასი ლარი) 116,4%-ია;
 - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 651,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (766,4 ათასი ლარი) 85,1%-ია.
 - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 317,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (240,0 ათასი ლარი) 132,3%-ია.
 - არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან - 3 861,2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 031,0 ათასი ლარი) 190.1%-ია. მათ შორის:
 - საქონლის რეალიზაციიდან - 126,5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (126,0 ათასი ლარი) 100,4%-ია;
 - მომსახურების გაწევიდან - 3 667,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 905,0 ათასი ლარი) 192,5%-ია;
- სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მობილიზებულია 46 892,0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (48 463,0 ათასი ლარი) 96,8%-ია.
- ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე მობილიზებულია 17 849,7 ათასი ლარი.
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 61 406,3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (66 350,0 ათასი ლარი) 92,5%-ია.

**2015 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

დასახელება	ათასი ლარი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	203,130.1	226,136.7	23,006.6	111.3
შემოსავლები საკუთრებიდან	46,883.0	56,972.2	10,089.2	121.5
პროცენტები	35,517.0	39,800.1	4,283.1	112.1
დივიდენდები	152.0	214.4	62.4	141.1
რენტა	11,214.0	16,957.7	5,743.7	151.2

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	41,434.1	43,016.4	1,582.3	103.8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	39,403.1	39,155.2	-247.9	99.4
სალიცენზიო მოსაკრებლები	750.0	465.1	-284.9	62.0
სანებართვო მოსაკრებლები	24,400.0	23,277.4	-1,122.6	95.4
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	950.0	1,138.2	188.2	119.8
სახელმწიფო ბაჟი	10,718.0	11,468.2	750.2	107.0
საკონსულო მოსაკრებელი	1,578.7	1,836.8	258.1	116.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	766.4	651.9	-114.5	85.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	240.0	317.6	77.6	132.3
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	2,031.0	3,861.2	1,830.2	190.1
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	126.0	126.5	0.5	100.4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,905.0	3,667.3	1,762.3	192.5
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		67.4	67.4	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	48,463.0	46,892.0	-1,571.0	96.8
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		17,849.7	17,849.7	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	66,350.0	61,406.3	-4,943.7	92.5

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 212 592,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (176 771,8 ათასი ლარი) 120,3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 48 630,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (50 739,5 ათასი ლარი) 95,8%-ია.